შპს აგროინვესტი

27 იანვარი 2021 წ.
№ 2021-OUT-27.I-1

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

შპს „აგროინვესტი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 402171724) ფლობს 194 ჰა მიწის ფართობს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის, სოფ. ხაიშის მიმდებარედ. აღნიშნიშნული ფართობიდან 121 ჰა ტერიტორია არ ირწყვება, ხოლო დანარჩენი 73 ჰა ირწყვება ალგეთის წყალსაცავიდან, არსებული სამელიორაციო სისტემის საშუალებით.

იმისათვის, რომ გაიზარდოს 121 ჰა მიწის ფართობის მოსავლიანობა აუცილებელია მიყვანილ იქნას სარწყავი წყალი, ამ მიზნის განხორციელებისათვის, ოპტიმალური ვარიანტია მდინარე ხრამიდან სარწყავი წყლის ამოტუმბვა.

შესაბამისად, პროექტი მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-2 დანართით განსაზღვრული საქმიანობების ნუსხას. კერძოდ, პუნქტი 1.3. სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია. კანონის მოთხოვნით საქმიანობა ექვემდებარება კოდექსის მე-7 მუხლით გაწერილ სკრინინგის პროცედურას.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის საფუძველზე, წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. ხაიშთან სამელიორაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციისთვის.

წერილს დანართის სახით თან ერთვის კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია, კერძოდ:

- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს.

ამასთანავე, ვთვლით, რომ წერილის დანართში წარმოდგენილი ინფორმაცია საკმაოდ დეტალურად ასახავს პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელ გარემოზე ზემოქმედების საკითხებს.

პატივისცემით,

ვლადიმერ ბაკურაძე

დირექტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 961
"28" 01 2021
1/C2 ფ.
03

მის.: თეთრიწყარო, სოფ. ხაიში
ტელ.: 599 95 09 06
ელ-ფოსტა: agroinvestofgeorgia@gmail.com